

ოქმი N13

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს რიგგარეშე ბიუროს სხდომის

2017 წელი, 29 ივნისი
ქ. ოზურგეთი, 17⁰⁰სთ

ესწრებოდნენ:

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: ნ. გოგუაძე,

კომისიების თავმჯდომარეები: ლ.თოიძე, ლ.ბიგვავა, ი.საჯაია, ნ.ტაბატაძე, მ.
მახარობლიძე.

ფრაქციის თავმჯდომარეები: კ. კვაჭაძე, ნ.ორაგველიძე.

არ ესწრებოდნენ: თ. ნადირიძე, თ. სალუქვაძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ნ.გოგუაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის პასუხისმგებელი
პირები.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი,
რომელიც დამტკიცდა ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N24
დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: მარიკა ნაცვალაძე

მომხსენებელმა მ. ნაცვალაძემ მუხლობრივად განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

აზრი გამოთქვას: ლ.ბიგვავა - 144 ათ.ლარის შემცირება რამ გამოიწვია?

მ. ნაცვალაძე - ტენდერებიდან დარჩენილი თანხაა.

დაადგინეს: საკითხი განსახილველად გატანილი იქნას საკრებულოს
სხდომაზე.

დამტკიცდა ერთხმად

2. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების
საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ -
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 იანვრის N5
განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: მერაბ წივწივაძე

მომხსენებელმა მ. წივწივაძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

დაადგინეს: საკითხი განსახილველად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

დამტკიცდა ერთხმად

3. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლების (სასწავლო სვლა) გზების სიის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: მამია მახარაძე

თანამომხსენებელი ლ.თოიძე

მომხსენებელმა ლ. თოიძემ სდომაზე დამსწრეთ გააცნო კომისიის სხდომის დასკვნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დაადგინეს: საკითხი განსახილველად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

დამტკიცდა ერთხმად

4. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე საგზაო მოძრაობის დაგეგმარების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 სექტემბრის N61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: მამია მახარაძე

თანამომხსენებელი ლ.თოიძე

მომხსენებელმა ლ. თოიძემ სდომაზე დამსწრეთ გააცნო კომისიის სხდომის დასკვნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დაადგინეს: საკითხი განსახილველად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

დამტკიცდა ერთხმად

5. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: ირინე საჯაია

მომხსენებელმა ი. საჯაიამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოადგინა კომისიის დასკვნა.

დაადგინეს: საკითხი განსახილველად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

დამტკიცდა ერთხმად

6. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ” - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ნოემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: ირინე საჯაია

მომხსენებელმა ი. საჯაიამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოადგინა კომისიის დასკვნა.

დაადგინეს: საკითხი განსახილველად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

დამტკიცდა ერთხმად

7. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: გიორგი ხუროშვილი

მომხსენებელმა გ. ხუროშვილმა განმარტა წარმოგდენილი პროექტი.

დაადგინეს: საკითხი განსახილველად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

დამტკიცდა ერთხმად

8. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და მერიის მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ” - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ნოემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: გიორგი ხუროშვილი

მომხსენებელმა გ. ხუროშვილმა განმარტა წარმოგდენილი პროექტი.

დაადგინეს: საკითხი განსახილველად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

დამტკიცდა ერთხმად

9. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (ს/კ 237113850) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (ს/კ 26.26.01.694) 4242 კვ/მ ფართის მიწის ნაკვეთის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, იურიდიული პირის არსებობის ვადით გადაცემის თაობაზე, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: მერაბ წიფწივაძე

მომხსენებელმა მ. წიფწივაძემ განმარტა წარმოგდენილი პროექტი და აღნიშნა, რომ 2008 წელს გაუფორმდა უზუფრუქტი საქართველოს სამოციქულო მართმადიდებლურ ავტოკეფალიურ ეკლესიას, რომლის დარეგისტრირება რეესტრში არ მომხდარა. ამიტომ განმეორებით ითხოვენ უსასყიდლო

უზურფრუქტით 4242 კვ/მ ფართის იურიდიული პირის არსებობის მანძილზე გადაცემას.

აზრი გამოთქვას: ნ. გოგუაძე - ის არის პარკი, გზა მიდის გურიელების სასახლემდე.

ი. საჯაია - თავის დროზე უზურფრუქტი იქნა არაკანონიერად გაფორმებული.

ნ. გოგუაძე - ე.წ. „ეროვნულმა მოძრაობამ“ გამოასახლა მუზეუმი გურიელების სასახლიდან. ჩემი წინადადებაა საკითხი კომისიებს გადაეცეს განსახილველად.

დაადგინეს: გადაეცეს საკითხი კომისიებს განსახილველად
დამტკიცდა ერთხმად

საკრებულოს სხდომა ჩატარდება 2017 წლის 30 ივნისს 11 საათზე

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ბიუროს წევრებს და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა